03 02 01	ა(ა)იპ – მესტიის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური	173.6	168.1	150.6	180.0	210.0	220.0
03 02 02	ა(ა)იპ – მესტიის დასუფთავება	437.6	505.7	867.7	550.0	620.0	700.0
03 02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	50.1	438.5	82.0	0.0	0.0	0.0
03 03	მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	901.5	2,801.8	2,899.1	570.0	400.0	520.0
03 04	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	1,019.1	1,110.1	1,247.9	0.0	0.0	0.0
03 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	424.1	340.4	67.4	0.0	0.0	0.0
03 06	რეგიონული განვითარების ფონდის თანადაფინანსება		250.0	313.9	350.0	300.0	330.0

მუნიციპალიტეტის გზების და ხიდების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია. დაგეგმილია ცენტრალური გზიდან სოფელ ცხუმარამდე მისასვლელი საავტომობილო გზის (6კმ მონაკვეთი) სარეაბილიტაციო სამუშაოები და ცენტრალური გზიდან სოფელ იდლიანამდე მისასვლელი საავტომობილო გზის (7კმ მონაკვეთი) რეაბილიტაცია. სოფ. მულახში გზის (1 კმ) მშენებლობა. გზის დამცავი კედლების მშენებლობა სოფ.ლენჯერში, ცხუმარში, დიხში. სოფ. წვირმიში ხიდის მშენებლობა. სოფ. ბეჩოში ტყვიების გზის რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:

- დ.მესტიაში გზის დამცავი გაბიონის მოწყობა;
- სოფ იელში გზის კედლის მშენებლობა;
- სოფ.ლენჯერში „სოლის“ ხიდის მშენებლობა;
- სოფ.ნაკრაში გზის რეაბილიტაცია;
- სოფ.ნაკრაში ხიდის რეაბილიტაცია;
- სოფ.მულახში „ჯაბეში“ ხიდის რეაბილიტაცია;



- სოფ.მულახში „ჩვობიანში“ ხიდის რეაბილიტაცია;
- სოფ.მულახში „ჭოლაში“ გზის კედლების რეაბილიტაცია;
- დ.მესტიაში ჩართოლანის ქუჩის რეაბილიტაცია;
- ვიტორიო სელას ქუჩის რეაბილიტაცია;
- გულადი ჯაფარიძის სახელობის ქუჩის რეაბილიტაცია;
- ზ.ფალიანის ქუჩის სახელობის რეაბილიტაცია;
- სენაკის ქუჩების რეაბილიტაცია.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე-განათების ქსელის გაფართოება. არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსება, მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მესტიის მუნიციპალიტეტის დასუფთავების ღონისძიება, დასუფთავების არეალის გაფართოება, ასევე წყლის სისტემისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებები.

გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე-განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, ასევე სოფლის ცენტრებში ახალი განათების ბოძების მოწყობა.

დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზის ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლობის შემთხვევაში – ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის სისტემების რეაბილიტაცია, დაგეგმილია მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა.

საბავშვო ბაღების წყალმომარაგების მოწყობა;

ეცერის თემის სოფ კალაშისთვის საკანალიზაციო მილების შექმნა;

სოფ. ნაკრაში წყლის სისტემების მოწყობა;

სოფ ცხუმარის წყლის სისტემების მოწყობა;

სოფ მულახში ლახირის წყლის სისტემების მოწყობა;

ბეჩოში მაზერის წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბა მესტიაში ლ. ფილფანის სახელობის თეატრის თანადაფინანსებაში თანამონაწილეობა.

დაგეგმილია ასევე სოფლების: მესტიის ბაგა-ბაღის, ცხუმარის, ეცერის (ბარში), ლატალის, მულახის (ჭაბეში და ჭოლაში), ბეჩოს (მაზერი) მშენებლობა, ხოლო ეცერის (ცენტრი) იდლიანის და ხაიშის საბავშვო ბაღების მშენებლობის დასრულება.

დაგეგმილია: საგზაო უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით სათვალთვალ ვიდეოკამერების და აბრების მონტაჟი;

ლენჯერის თემის სოფ. ნესგუნში გზის დამცავი კედლის მშენებლობა;



სოფ. ეცერში სტადიონის ხელოვნური მწვანე საფარის მოწყობა;

საბავშვო ბაღების ელექტრომომარაგების წყაროსთან მიერთება;

დაბა მესტიაში მიწის ნაკვეთების შემოღობვა;

სოფ.იფარის სპორტსკოლის რემონტი და მერიის შენობის მიმდინარე რემონტი;

სპორტული კედლის მშენებლობა;

ხაიშის სპორტდარბაზის მშენებლობა;

ეცერის სტადიონი ს რეაბილიტაცია;

იფარის საბავშვო რეაბილიტაცია;

სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებში სანიაღვრე-სარწყავი არხების და მდინარის ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

- დ.მესტიაში „ჭვიბზე“ ნაპირსამაგრი გაბიონის რეაბილიტაცია,
- სოფ.კალაშში ნაპირსამაგრი გაბიონის რეაბილიტაცია,
- სოფ.მულახში ჭოლაში-მაჯვდიერის ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა,
- სოფ ცხუმარის ნაპირსამაგრი ღელის მოწყობა,
- სოფ ლატალის ნაპირსამაგრი ღელის მოწყობა,
- სოფ ეცერი-ებუთის ნაპირსამაგრი ღელის მშენებლობა.

რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხორციელებული პროექტების 10 %-იანი თანადაფინანსება;

განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება სახელოვნებო სკოლაც, რომლის მიზანია მოზარდების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება ხელოვნების სხვადასხვა დარგების მიხედვით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- სრულყოფილი მომავალი თაობის აღზრდა. სკოლამდელი დაწესებულების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- გაუმჯობესდება საბავშვო ბაღებში განათლების მიღების დონე და პირობები;
- მომავალი თაობის მაქსიმალური ჩართვა ხელოვნების სფეროში;
- შესაბამისი სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება;
- მოზარდებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის;
- მოზარდის ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, კრეატივის, ფანტაზიისა და მსოფლმხედველობის მაქსიმალური განვითარება.

ორგ. კოდი	დასახელება	2016 წლის დეკემბრის	2017 წლის	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
-----------	------------	---------------------	-----------	-------------------	--------------------	--------------------	--------------------



		ფაქტი	ფაქტი				
04 00	განათლება	764.7	780.7	1,010.4	772.0	793.0	825.0
04 01	ა(ა)იპ – მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება	687.6	709.7	986.9	700.0	720.0	750.0
04 03	ა(ა)იპ – მესტიის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმანათლებლო ხელოვნების სკოლა	77.1	71.0	23.6	72.0	73.0	75.0

სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 22 ბაღი და დაემატება კალის და უშხვანარის ბაღები, სადაც განათლებას იღებს 454 ბავშვი. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებისათვის ყველა ხარჯს, მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის ხელფასებს, ბავშვების კვების და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

ხელოვნების სკოლა (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის მიზანია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნა. მომდევნო წლებში დაგეგმეთ სხვადასხვა დარგების დამატება, რაც გამოიწვევს პედაგოგთა და მოსწავლეთა რიცხვის გაზრდას და მათ აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში. ხელოვნების სკოლის ამოცანაა პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნა;

ხელოვნების სკოლის ფუნქციები მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

- 1) საფორტეპიანო სწავლება;
- 2) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლება;
- 3) ფოლკლორი და სახვითი ხელოვნების სწავლება.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვასაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება. მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსის ეკონომიურად და ეფექტურად ხარჯვის მიზნით განხორციელდება აიპიების შერწყმა-გართიანება კერძოდ, ა(ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო ხელოვნების სკოლის“ (ს/კ435891466), ა(ა)იპ „ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრის“ (ს/კ 435891180) და ა(ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის“ (ს/კ 235895162) გაერთიანების და შერწყმის (გაერთიანების) შედეგად შეიქმნება ა(ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი“.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ამალდება მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის სპორტულ სფეროში ჩართულობის დონე.
- ზოგადად კულტურისა და კულტურის დარგების შენარჩუნების, დაცვისა და განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნა. თეატრის, მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ხალხური რეწვის დარგების პროპაგანდა-პოპულიზაცია.
- მოზარდი თაობის მკითხველთა კონტინენტის გაფართოება.



- მოსწავლე-ახალგაზრდობის ცოდნის დონის ამაღლება.
- წიგნიერების პოპულარიზაცია

ორგ. კოდი	დასახელება	2016 წლის დეკემბრის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,338.2	1272.2	1,401.6	1,350.0	1,610.0	1,779.1
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	593.8	599.7	602.4	600.0	700.0	734.1
05 01 01	ა(ა)იპ – მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი	593.8	599.7	602.4	600.0	700.0	734.1
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	467.0	449.2	522.0	480.0	510.0	570.0
05 02 01	ა(ა)იპ – მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური	365.8	351.9	119.3	370.0	390.0	420.0
05 06	ა(ა)იპ – მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	00	00	303.6			
05 02 04	ა(ა)იპ – მესტიის მთავარი ბიბლიოთეკა	83.1	79.0	81.0	85.0	90.0	100.0
05 02 05	ა(ა)იპ – მხატვარ ძმებ-ირაკლი, მარატ და გოვენ ფარჯიანების თანამედროვე ხელოვნების მემორიალური სახლ-მუზეუმი	18.0	18.3	18.0	25.0	30.0	50.0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	146.5	117.3	155.7	140.0	230.0	255.0
05 04	ა(ა)იპ – ლეო ფილფანის სახ. სახალხო და ფოლკლორის თეატრი	26.7	23.5	7.8	30.0	50.0	70.0
05 05	ა(ა)იპ – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დაფინანსება	104.2	82.5	113.7	100.0	120.0	150.0

ა(ა)იპ „სპორტული სკოლების გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები ემსახურება ახალგაზრდობის მაქსიმალურ ჩართვას სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ახალგაზრდებისათვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი პირობების შექმნას.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურის ცენტრი და ბიბლიოთეკები.

კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურის ცენტრი, მასში შემავალი ხუთი კულტურის სახლი, ორი სასოფლო კლუბი, ახალგაზრდული ცენტრი „ბეთქილი“, ორი სახელობითი მუზეუმი, სამი ფოლკლორული ანსამბლი: „რიპო“, „ლატალი“, ახალგაზრდული ფოლკლორული ჯგუფი „ბეთქილი“.

ა(ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 06)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ხალხური შემოქმედების ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მოძიება, შენარჩუნება, პოპულიზაცია და მისი მეცნიერული კვლევა.



ხალხური ხელოვნების მოვლა-დაცვა და განვითარების საკითხებზე რეგიონის მოქმედი ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებისათვის, ფოლკლორული ჯგუფების, შემოქმედებითი გაერთიანებების, თვითნასწავლი მხატვრების, ხალხური რეჟისის ოსტატებისა და სახალხო მთქმელებისათვის კვალიფიციური კონსულტაციის გაწევა.

პროგრამის მიზნებს შორისაა კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, მსოფლიო და ეროვნული ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების და ღონისძიებების განხორციელება.

ბიბლიოთეკების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04)

ბიბლიოთეკების დაფინანსება მიზნად ისახავს მკითხველთა სწრაფ და სრულ დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით უზრუნველყოფას. ხელსაყრელი პირობების შექმნას პიროვნების შემოქმედებითი განვითარებას. მოსახლეობის ყველა ფენის მომსახურებას. საბავშვო ან მასობრივ ბიბლიოთეკებში ფონდების შექმნის მიზნით კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა. მომდევნო წლებში დაგეგმილია: კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზის გაკეთება, რაც მკითხველის მოზიდვას გამოიწვევს, საცავის რეაბილიტაცია, სადაც განლაგებულია ფონდი. ახალი ბეჭდური პროდუქციის შექმნა. მთავარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა.

ხელოვნების სახლ-მუზეუმი (05 02 05)

ა.იპ „ხელოვნების მუზეუმი“ მიზნად ისახავს მხატვარი ძმების ირაკლი, მარატ და გოვენ ფარჯიანების თანამედროვე ხელოვნების მემორიალური სახლ-მუზეუმის ფუნქციონირებას და რეაბილიტაციას.

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (05 03)

პროგრამა უზრუნველყოფს: ახალგაზრდების განათლების დონის ამაღლებას შემეცნებით-ინტელექტუალური კონკურსებში მონაწილეობით, სტუდენტების განათლების მიღების ხელშეწყობას პირველკურსელთა სწავლის თანადაფინანსებით, ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობას გასართობი სახალისო სპორტულ თამაშებში, ამ მიზნით ტარდება ღონისძიებები, მათ შორის:

სასკოლო ოლიმპიადა, კონკურსი „ინტელექტი“, 26-მაისი, ბავშვთა დაცვის დღე, ფოლკლორული ფესტივალი „ზემო სვანეთი“, მიხეილ ხერგიანის სახელობის ტურნირი მეკლდეურობაში, მუხრან შუკვანის სახელობის ტურნირი, ეტალონი-მედია, საახალწლო ღონისძიება.

აღნიშნული პროგრამა ემსახურება ახალგაზრდა თაობის მრავალმხრივ განათლებას და ზოგადი უნარების ჩამოყალიბებას.

ა.ა.იპ „ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრი“ (პროგრამული კოდი 05 04)

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში თეატრის ფუნქციონირებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, პერსონალის დაფინანსება,

ა.ა.იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დაფინანსება (05 05)

აღნიშნული ქვეპროგრამა ემსახურება კულტურული ძეგლების აღრიცხვას და რეაბილიტაციას, რაც ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და დაცვას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ხანძრით და ბუნებრივი კატაკლიზმებით დაზარალებული ოჯახების დახმარებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, დაავადების რისკების გამოვლენა.



- გადამდებ დაავადებათა შემცირება.
- საგანმანათლებლო, სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა.
- პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.
- პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მარჩენალდაკარგული ოჯახების და შშმ ბავშვების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.
- პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება გაჭირვებული, დაბალშემოსავლიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, განვითარდება მცირე მეურნეობა, რისი საშუალებითაც მოსარგებლე შემდეგს პროდუქტით თვითუზრუნველყოფას და რეალიზაციას, ასევე გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.
- გაუმჯობესდება ომის მონაწილე ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების, გარდაცვლილ დევნილთა და ვეტერანთა ოჯახების, ხანდაზმულების (90 წელი და ზემოთ) სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.
- პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება პროგრამაში მონაწილე მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ახალშობილებისთვის საჩუქრის სახით დახმარების გაწევა, გარკვეულწილად ზოგად გავლენას იქონიებს მუნიციპალიტეტში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე და ფსიქიურად დაავადებულ პირებსა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფებს, C ჰეპატიტით დაავადებულებს გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.
- ეკონომიკური მხარდაჭერა.

ორგ. კოდი	დასახელება	2016 წლის დეკემბრის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ბიუჯეტის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	413.5	429.8	507.9	472.0	523.0	580.0
06 01	ა(ა)იპ მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	75.1	73.1	70.4	75.0	80.0	90.0
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	151.5	92.0	167.6	192.0	218.0	245.0
06 02 01	მარჩენალდაკარგულთა სოციალური დაცვა	2.3	2.4	25.6	7.0	10.0	15.0
06 02 02	გაჭირვებულ ოჯახთა ერთჯერადი დახმარებები	137.2	77.9	130.0	170.0	190.0	210.0
06 02 03	ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალური დაცვა	12.1	11.7	12.0	15.0	18.0	20.0
06 03	მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	128.8	177.2	171.4	140.0	145.0	155.0
06 04	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	58.1	87.5	98.5	65.0	80.0	90.0

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

ჯანდაცვის პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, რომლის მიზანია გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების წესის დამკვიდრება. გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის და კონტროლის ღონისძიებების ჩატარება.



„ტუბერკულოზის, „აივინფექციის/შიდსის, C ჰეპატიტის სკრინინგის ინტეგრირება პირველად ჯანდაცვაში“ საპილოტე პროგრამის დაფინანსება.

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მარჩენალდაკარგულთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

განცხადებით მომართვის შემთხვევაში მარჩენალდაკარგულ ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილები და 18 წლამდე შშმ. ბავშვებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 100 ლარის ოდენობით.

აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარჩენალდაკარგული ოჯახების და შშმ ბავშვების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

გაჭირვებულ ოჯახთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სოციალურად დაუცველი ოჯახების და სოციალურად დაუცველი მძიმე ავადმყოფების ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ზემოთ აღნიშნული კონტიგენტისათვის შეიქმნას სპეციალური სოციალური სახის ერთდროული ფულადი დახმარების პროგრამა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში უმეტეს შემთხვევაში მოქალაქეს უფინანსდება საჭირო სამედიცინო მომსახურება, თუმცა სადაზღვეო კომპანიების მიერ გარკვეული სახის გამოკვლევები და მკურნალობა არ ფინანსდება, ან ფინანსდება ნაწილობრივ; მიუხედავად ამისა მოსახლეობა ვერ ახერხებს აღნიშნული მომსახურების მიღებას, რადგან ეს ყველაფერი ტრანსპორტირების ხარჯებთანაა დაკავშირებული, რისი საშუალებაც ამ კატეგორიის მოსახლეობას არ გააჩნია; აღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მივიჩნით შემდეგი სახის დახმარების გაწევას.

1. სილატაკის ზღვარზე მყოფი ოჯახების დახმარება (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 35 000-ს) (100-350 ლარი).
2. სოციალურად დაუცველი მძიმე ავადმყოფების დახმარება (100-350 ლარი).

პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სოციალურად დაუცველი, მძიმე ავადმყოფი პირებისთვის ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების გაწევა. ასევე სილატაკის ზღვარზე მყოფი ოჯახების დახმარება (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 35 000-ს). სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მცირე, მარტივი ტიპის სათბურების მშენებლობა ან ერთჯერადი მატერიალური ფულადი დახმარების გაწევა სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 03)

სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა, ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების და ომის მონაწილე და ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების, ხანდაზმულთა (90 და მეტი წლის უზუცესები) დახმარების პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.

- სამშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრების სარიტუალო თანხები, თითოეულ ვეტერანზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი.
- იძულებით გადაადგილებული პირების სარიტუალო თანხები, თითოეულ დევნილზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
- ომის მონაწილე ვეტერანების და ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების (85-პირი) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.



აღნიშნული პროგრამის მიზანია სამშობლოს დაცვისას დადუპულთა, ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების და ომის მონაწილე და ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების, ხანდაზმულთა (90 და მეტი წლის უზუცესები) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 03)

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ან ფაქტობრივად (მუდმივად) მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ (თემის რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე – საცხოვრებელი ადგილის ფაქტის დადასტურების შესახებ) ოჯახებისა და ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა, რომელშიც შედის შემდეგი კატეგორიები: ახალშობილები, ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე და ფსიქიურად დაავადებული პირები, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მრავალშვილიანები, სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციის დაფინანსება, სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გადაუდებელი ენდოსკოპიური გამოკვლევის დაფინანსება, მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსება, მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა.

ქვეპროგრამის მიზანია ახალშობილების მშობლებისთვის საჩუქრის სახით, ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა, მუნიციპალიტეტში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ერთჯერადი ფულადი დახმარება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისა და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, მათთვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და წახალისების მიზნით. ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე და ფსიქიურად დაავადებული ავადმყოფებისთვის სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ჩვენი მოსახლეობა ვერ ახერხებს ამ პროგრამით სარგებლობას რადგან შორი მანძილის და ტრანსპორტირების ხარჯების უქონლობის გამო ამ კატეგორიის ავადმყოფები ვერ ახერხებენ ჯანდაცვის სამინისტროში მისვლას. დიალიზის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება სრულად და პაციენტის მხრიდან თანადაფინანსებას არ ითვალისწინებს, პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა სოციალური მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს გეგმიური მომსახურების დოკუმენტების ნუსხა, რის შემდეგაც ხდება პაციენტის რეგისტრაცია დიალიზის მომლოდინეთა ცენტრში. ეს ყველაფერი დაკავშირებულია დროსთან, პაციენტს კი მუდმივად ესაჭიროება აღნიშნული მომსახურების მიღება. ასეთივე პრობლემას აწყდება ონკოლოგიური და ფსიქიურად დაავადებული პირები. მიუხედავად იმისა, რომ მათი სამედიცინო მომსახურება ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით მესტიის მუნიციპალიტეტის საავადმყოფოში შესაბამისი აპარატურისა და სპეციალისტების არარსებობის გამო პაციენტებს უწევთ ქ.თბილისში გამგზავრება, რაც ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამ ყველაფრის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული კატეგორიის ავადმყოფებისთვის დახმარების გაწევა (ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარად). სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გადაუდებელი ენდოსკოპიური გამოკვლევის დაფინანსება 100 %-ის ოდენობით (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება ენდოსკოპიური გამოკვლევა). მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსება 70 %-ის ოდენობით. C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 70 %-ს, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, თანაგადახდა შეადგენს 30 %-ს. მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის მიზნით გამოკვლევების თანადაფინანსება, რომელშიც შედის ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა დიაგნოსტიკა – ულტრაბგერითი კვლევა, ფარისებრი ჯირკვლის სადიაგნოზო ჰორმონული კვლევებიდან – თირეოტროპული ჰორმონის (TSH) და პერიფერიული თავისუფალი თიროქსინის (FT4) გამოკვლევა. თანადაფინანსება განხორციელდება თანხით, რომლის დაფინანსებაც არ ხდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.

სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 04)

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ხანძრით და ბუნებრივი კატაკლიზმებით დაზარალებული ოჯახების დახმარებას, დაზიანებული შენობების სახურავებით უზრუნველყოფას. სტიქიით, მათ შორის, ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. დაზარალებულების ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა ხდება ინდივიდუალური წესით ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შემდეგ, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე თანხით არანაკლებ 500 (ხუთასი) და არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარისა.



მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მაიზერ ჯაფარიძე

